



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი  
(შპატი)  
№2 (401)  
(5776)  
2015

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

ისრაელის ამბები

ისრაელის ამბები

ისრაელის ამბები

ისრაელის ამბები

### თავს რელიგიურად მიიჩნევს ისრაელის მოსახლეობის მეხუთედი

ისრაელის მოსახლეობის ერთი მეხუთედი იზიარებს ნაციონალურ-რელიგიური სექტორის აზრს, რაც წინა წლებთან შედარებით ბევრად უფრო მაღალი მაჩვენებელია. როგორც MIGnews.com გვატყობინებს, ამას ადასტურებს 27 იანვარს ისრაელის დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგები, რომელიც ასევე ასახავს ნაციონალურ-რელიგიური საზოგადოების მიმართებას სხვადასხვა რელიგიური ხასიათის საკითხებზე, როგორებიცაა პოლიტიკა, მშენებლობასთან დაკავშირებული გეგმები, რაბინების გავლენა საჯარო პოლიტიკაზე, სამოქალაქო ქორწინებაზე. გამოკითხვა ჩატარდა 2013 წელს, მასში 978 ებრაელი მონაწილეობდა, რომლებიც თავს რელიგიურად მიიჩნევენ. წინათ სტატისტიკის ცენტრალური ბიურო ამტკიცებდა, რომ რელიგიური საზოგადოება შეადგენდა მხოლოდ 10% ისრაელში მცხოვრები ებრაელებისას, მაგრამ ახალმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ნაციონალურ-რელიგიური სექტორის ძირითად აზრს იზიარებს ისრაელში მცხოვრები ებრაელების 21% -ი. 23% დან 53%- მდე ებრაელმა კი განაცხადა, რომ საერთოდ არ იზიარებს ამ მოსაზრებას.

### იერუსალიმის მუფთი: ისრაელიდან ყველა ებრაელს მოვკვითავთ

იერუსალიმის საქალაქო პროკურატურამ სასამართლოში წარადგინა ბრალდება იერუსალიმის 49 წლის მუფთის - ომარ აბუ-სარის წინააღმდეგ. როგორც, «Kypcor» აცხადებს, ალ-აქსას მეჩეთში ერთ-ერთი მსახურების დროს, მუფთი აბუ-სარამ, რომელიც ეჭვმიტანილია მკვლელობაში, განაცხადა: „მე ვივმართავ ებრაელებს და ვეუბნები მათ, დადგა დრო რომ ისრაელიდან ამოგკვეთოთ თქვენ ყველა და ჩვენ ამას გავაკეთებთ, დადგა დრო თქვენთან ბრძოლის. ისლამური ხალიფატი მალე მოვა იერუსალიმში, ისინი გაანადგურებენ ყველა ებრაელს, გაათავისუფლებენ პალესტინის წმინდა მიწებს იმ ცოდვებისგან, რომელიც თქვენ მოიტანეთ აქ“.

### მეკავშირებული ებრაელების მდგომარეობას გერმანიაში სასიფათოდ მიიჩნევს

ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ანგელა მერკელი. ცერემონია მიეძღვნა ოსვენციუმის საკონცენტრაციო ბანაკიდან საბჭოთა არმიის მიერ პატიმრების განთავისუფლებას. როგორც «Kypcor» გვაუწყებს, რადიოსადგურ «Kohl Israaيل» მიხედვით, მერკელმა აღიარა, რომ ანტისემიტიზმი თანამედროვე გერმანიაში დღესაც არსებობს და ბოლო პერიოდში გააქტიურებაც შეიძლება. „ის ფაქტი რომ გერმანიაში ებრაელები ისევ დამცირების საგანს წარმოადგენენ, არის ჩვენი ქვეყნის სირცხვილი“- ხაზი გაუსვა ანგელა მერკელმა.

### ებრაელების გარეშე დიდი ბრიტანეთი ვერ იქნება დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ტერეზა მეი გამოეხმაურა კვირის დისკუსიას, რომელიც განიხილავდა საკითხს: არის თუ არა იმისა საჭიროება, რომ ბრიტანელმა ებრაელებმა საცხოვრებლად სხვა ადგილი ეძებონ. როგორც გაზეთი «Достижения», აცხადებს, ტერეზა მეი განაცხადა, ვერ წარმოედგინა რომ დადგებოდა დრო, როდესაც ებრაელები იფიქრებდნენ დიდი ბრიტანეთიდან წასვლაზე და შსს დიდ ძალებს მოახმარს ტერორიზმთა ბრძოლას, რათა თავიდან აიცილოს ისეთი ტერორისტული აქტი, როგორიც მოხდა პარიზში.

დიდი ბრიტანეთის ებრაული სათვისტომო, 2011 წლის მონაცემებით, 26000 ებრაელია, რაც ბრიტანეთის მოსახლეობის 0,5 % შეადგენს. სიტყვით გამოსვლისას ტერეზა მეი დასძინა. „მე ვიცი რომ ბევრი ებრაელი ამ ქვეყანაში თავს დაუცველად გრძნობს, ჩვენ ყველამ უნდა გავაორმაგოთ ძალები, რომ გავანადგუროთ, აღმოვფხვრათ ანტისემიტიზმი დიდ ბრიტანეთში.“

### მანუელ ვალსი: ეს აღარ იქნება საფრანგეთი

საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელმა მანუელ ვალსმა ინტერვიუ მისცა ჯეფრი გოლდბერგის გამომცემლობას The Atlantic, და განაცხადა, რომ დღესდღეობით ქვეყანა დგას ებრაელთა მასობრივი ემიგრაციის წინაშე. „თუკი 100 000 ებრაელი დატოვებს ქვეყანას, ეს აღარ იქნება საფრანგეთი, ის დაკარგავს სულს, ებრაელები განიცდიან მიჯაჭვულობას საფრანგეთისადმი და ჩვენ ისინი უნდა დავარწმუნოთ, რომ აქ ცხოვრება უსაფრთხოა. ჩვენ ეს გადაწყვეტილება ვერ კიდევ 1789 წლის რევოლუციის დროს მივიღეთ და ებრაელები საფრანგეთის სრულფასოვან მოქალაქეებად ვაღიარეთ. ეს ჩვენ მთავარ პრინციპად რჩება დღემდე“. ვალსი იმედოვნებს, რომ ფრანგები შეძლებენ დაარწმუნონ ებრაელები, დარწმუნდნენ საფრანგეთში, მიუხედავად იმისა, რომ ანტისემიტიზმისა და ძალადობრივი აქტების ზრდის შემდეგ საფრანგეთი 7000 საფრანგეთის მოქალაქე ებრაელმა დატოვა, რომლებიც ისრაელში დაბრუნდნენ.

„ებრაელებმა ითამაშეს საკვანძო როლი საფრანგეთის ისტორიაში, დროდადრო ისინი ხდებოდნენ მსხვერპლი დევნისა, მაგრამ ეს არ შეედრება იმას, რაც მოხდა ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში. ჩვენ ისინი არასდროს არ გაგვიძევებია, ყოველთვის იყვნენ საფრანგეთის კულტურული და პოლიტიკური მოვლენების ცენტრში“ - ირწმუნება ვალსი.

მთავრობის ხელმძღვანელმა აღიარა ანტისემიტიზმის ახალი სახის არსებობა, რამაც დაიპყრო საფრანგეთი. ეს დამოკიდებულება მოდის მუსულმანური საზოგადოებიდან, რომლებიც აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოვიდნენ და საფრანგეთის ღარიბ რეგიონებში დასახლდნენ. ვალსმა განაცხადა: „მას არ სჯერა, რომ აგრესიის გაზრდა გამოიწვია ებრაელების სპეცოპერაციამ ლაზარ სექტორში. იგი დარწმუნებულია, რომ ამ მოვლენებს ბევრად უფრო ღრმა ფესვები აქვს. მინისტრი ქვეყნის მოსახლეობის წინაშე აღნიშნავს, რომ მათ აქვთ უფლება აკრიტიკონ ქვეყნის (ისრაელის) პოლიტიკა და თავად ქვეყანა, მაგრამ ის, რაც ხდება საფრანგეთში, არის „რადიკალური მიუღებლობა ისრაელის სახელმწიფოს არსებობისა.“ პრემიერ-მინისტრი თვლის, რომ ანტისემიტიზმი ნიღაბია, რომლის ქვეშაც იმალება ანტისემიტიზმი.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ბოლო 11 თვის განმავლობაში დაფიქსირდა რეკორდული მაჩვენებელი საფრანგეთიდან რეპატრირებული ებრაელების. ეს არის 6655 ადამიანი, 172% მეტი წინა წლებთან შედარებით, როცა რეპატრირებულითა რიცხვი შეადგენდა 3292 ადამიანს. ამ მონაცემებმა გადააჭარბა საბრძოლო მდგომარეობაში მყოფ უკრაინიდან რეპატრირებულთა რიცხვს, რაც 5700 ადამიანს, ანუ წინა წლებთან შედარებით 154% შეადგენს, ხოლო რუსეთიდან რეპატრირებულთა რიცხვი 4500-ია.

### „თანამედროვე ებრაული დრამატურგია“

## თანამედროვე ებრაული დრამატურგია

המחזאות  
העברית  
המודרנית

კახა ბაკურაძის „მოდრობის თეატრი“ თანამედროვე დრამატურგიის სერიის ახალი გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა. გამომცემლობამ „არტანუჯი“ პროექტის ფარგლებში რიგით მეოთხე, ებრაული დრამატურგია გამოსცა. სერიის პირველი წიგნის პრეზენტაცია დაახლოებით ერთი წლის წინ, 2014 წლის 19 თებერვალს გაიმართა. პროექტის ფარგლებში გერმანული დრამატურგიის ორტომეული, სპარსული და ამჯერად უკვე ებრაული პიესები ითარგმნა და გამოიცა. წიგნი ხუთი ისრაელელი დრამატურგის პიესას აერთიანებს, პიესები ქართულ ენაზე მამუკა ბუხრიკიძემ თარგმნა, კრებულში იეჰოშუა სობოლის „გეტო“, სავიონ ლიბრეხტის „სიყვარულის ბანალურობა“, ხანოხ ლევიანის „ცხოვრების ჭაპანი“, ედნა მაზიას „აკრძალული თამაშები“ და იოსებ ბარ იოსეფის „რთული ადამიანები“ შევიდა. პრეზენტაციაზე სიტყვები წარმოთქვა: პროექტის ავტორმა თამარ კიკნაველიძემ, მთარგმნელმა მამუკა ბუხრიკიძემ, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ნინო კიკნაძემ და მწერალმა გურამ ბათიაშვილმა. გაიმართა „რთული ადამიანები“-ს საჯარო კითხვა. პიესა ახალგაზრდა მსახიობებმა ნინა გორგასლიძემ, ელიზბარ ჩხეიძემ და ბექა პაიკაძემ წარუდგინა საზოგადოებას.

ეს პროექტი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

WWW.MENORA.GE

# ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღე თბილისში

გაეროს გენერალური ასამბლიის მიერ 2005 წელს მიღებული რეზოლუციის თანახმად, 27 იანვარი ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ გამოცხადდა — 1945 წლის 27 იანვარს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საკონცენტრაციო ბანაკის, აუშვიცის, ათასობით ტყვე გაათავისუფლეს.



2015 წლის 27 იანვარს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა, რომლის ორგანიზატორები სახალხო დამცველის აპარატი და საერთაშორისო ფონდი „ლეა“ იყვნენ. შეხვედრის გახსნისას საქართველოს სახალხო დამცველმა **ურია ნანუაშვილმა** სტუმრებს მოუწოდა წუთიერი დუმილით პატივი ეცათ ჰოლოკოსტის მსხვერპლთათვის.

აუცილებელია ეს საზარელი დანაშაული სამუდამოდ აღიბეჭდოს კაცობრიობის მეხსიერებაში, როგორც სრულიად განსაკუთრებული შეტყობინება მსოფლიოსთვის, როგორც განსაკუთრებული გაფრთხილება თითოეული ჩვენგანისთვის, რომ რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს აღარასოდეს და ვუშვათ ფაშიზმის, ნაციზმის, რასიზმის, გენოციდის, სხვა მომაკვდინებელი ანტიადამიანური იდეოლოგიებისა და პრაქტიკების აღზევება — განაცხადა სახალხო დამცველმა.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით საერთაშორისო ფონდ „ლეას“ ხელმძღვანელმა **მარინე სოლომონიშვილმა** მიმართა. მან აღნიშნა, რომ წელს აუშვიცის გათავისუფლების 70 და გაეროს მიერ 27 იანვრის ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღედ დაწესების 10 წლისთავი აღინიშნება. ხაზი გაუსვა რომ ოსვენციმის ფოტოები, რომლებიც ვირტუალურ ფონად გასდევდა მის გამოსვლას, კიდევ ერთხელ გვახსენებდა ოსვენციმში ტანჯვით დაღუპულ მილიონობით ადამიანს, რომელთა შორის უმრავლესობა ევროპელი ებრაელები იყვნენ. ამავდროულად, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ ისინი, ვინც მეორე მსოფლიო ომის წლებში, ამ არაადამიანურ პირობებში არ დაკარგა ადამიანობა, მათ და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადაარჩინა ებრაელები, რომელთაც „მსოფლიოს ხალხთა წმინდანებს“ უწოდებენ, საქართველოდან ასეთია სერგო მეტრეველი. წელს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე აღინიშნება თემით „თავისუფლება, ცხოვრება, და მემკვიდრეობა ვინც გადარჩა“ და პატივისცემის ნიშნად მოიწვია ჰოლოკოსტის მსხვერპლი ქ-ნი ენტა ციმბელი.

ქ-მა **ენტა ციმბელმა** თქვა, რომ თვითმხილველია იმდროინდელი გენოციდის და ძალადობის. 1942 წელს, როდესაც ნაცისტებმა უკრაინის ოკუპაცია მოახდინეს, იგი პატარა გოგონა იყო. ბუნდოვნად ახსოვს როგორ ახრჩობდნენ ხეებზე ებრაელებს, ანამებდნენ და ტყვედ მიჰყავდათ, იყო საშინელი შიმშილი. დედასთან ერთად მან გაქცევა მოახერხა ტაშკენტში. 1975 წლიდან თბილისში ცხოვრობს. უმძიმს გახსენება და მოუწოდა დამსწრეთ არ დაუშვან ჰოლოკოსტის განმეორება.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ გაეროს მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში **ნილს სკოტი**, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **იუვალ ფუქსი**, პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **ანდრეი ჩიეშკოვსკი**, აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **რიჩარდ ნორლანდი**, ევროკავშირის წარმო-

მადგენლობის ხელმძღვანელი **იანოშ შერმანი**, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი **მანანა კობახიძე**, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**.

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა თავის სიტყვაში თქვა: „ამ თარიღის აღნიშვნა მხოლოდ ებრაელებისა და ისრაელისთვის არაა მნიშვნელოვანი, ეს არის საერთაშორისოდ მნიშვნელოვანი დღე. ყოველდღიურად სულ უფრო ნაკლები ადამიანი რჩება, ვინც გადაურჩა საკონცენტრაციო ბანაკებს და ჰოლოკოსტს, ჩვენი ვალია, მათი ისტორიები მოვისმინოთ და გადავცეთ შთამომავლობას“.

აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა **რიჩარდ ნორლანდმა** საუბრისას გაიხსენა სკოლის წლები, როდესაც მან და მისმა მამამ, რომელიც მუშაობდა აშშ-ის საელჩოში ნიდერლანდებში, დაათვალიერეს ანა ფრანკის სახლი, მისი დღიური უტყუარი საბუთია გენოციდის და ძალადობის, რაც განახორციელეს ნაცისტებმა მეორე მსოფლიო ომის დროს. ამ შთაბეჭდილებამ სამუდამოდ განსაზღვრა, რომ მნიშვნელოვანია ბრძოლა ფაშიზმის და ანტისემიტის გამოვლენების წინააღმდეგ, რათა არ დაეშვათ საზოგადოების მიერ ძალადობის განმეორება.

პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **ანდრეი ჩიეშკოვსკიმ**, შეკრებილთ შეახსენა არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძეს გმირობა, რომელმაც გადაარჩინა ებრაელები და პოლონელები ნაცისტური ოკუპაციის დროს. იგი აღიარებულია, როგორც წმინდანი საქართველოსა და პოლონეთის ეკლესიების მიერ.

გაეროს მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში **ნილს სკოტმა** განაცხადა, რომ ჰოლოკოსტის დღის აღნიშვნა არა მხოლოდ პატივისცემის გამოხატულებაა, არამედ მოგვინოვებს, რათა წვერმა სახელმწიფოებმა ქმედითი ნაბიჯები გადადგან ანტი-სემიტის და რასიზმის წინააღმდეგ, განაავითარონ ჰოლოკოსტის ხსოვნის და ცნობიერების ამაღლების საგანმანათლებლო პროგრამები, რათა მსგავსი ბოროტმოქმედების განმეორება არ დაუშვან მომავალში.

ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა **იანოშ შერმანმა** დამსწრეთ შეახსენა, რომ ნაცისტურ იდეოლოგია მიზანმიმართულად ანადგურებდა ებრაელებს, ბოშებს, ინვალიდებს, სექსუალურ უმცირესობებს და სხვა მსხვერპლთ.

მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვა თანამედროვე ეტაპზე, რათა საზოგადოებამ არ დაუშვას ადამიანის ჩაგვრა ეროვნული, თუ სხვა ნიშნით.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა **მანანა კობახიძემ** განაცხადა:

— ჩვენ მოხარული ვართ, რომ საქართველოში არასდროს არ ყოფილა ანტისემიტისტიზმი. ქართველ და ებრაელ ხალხს შორის არის მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს ერთობლივად აღინიშნება ეს სამწუხარო თარიღი, ხსოვნა ნაცისტების უდანაშაულო მსხვერპლთა, ტრაგედია, რომელსაც 6 მილიონი ებრაე-

ლი და ასობით ათასი სხვა ეროვნების ადამიანი ემსხვერპლა მეორე მსოფლიო ომის დროს. სამწუხაროდ, ახლაც არის კონფლიქტები საქართველოში, უკრაინაში და სხვაგან, რეზედაც დროული რეაგირებაა საჭირო.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ალიბეგაშვილმა** გამოსვლისას ხაზი გაუსვა, რომ ბევრ ქვეყანაში ებრაელები დახოცეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ებრაელები იყვნენ. ამ მხრივ, საქართველო არის ისტორიულად ტოლერანტობის მოდელი, ებრაელთა მიმართ და საერთოდ ერთა შორის მეგობრობისა.

გამომსვლელებმა მენორაზე სანთლები დაანთეს და პატივი მიაგეს ჰოლოკოსტის დროს დაღუპული 6 მილიონი ებრაელის, 2 მილიონი ბოშას და ნაცისტური რეჟიმის ყველა სხვა მსხვერპლის ხსოვნას.

მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტური გერმანიის მსხვერპლთა სულის მოსახსენიებელი ლოცვა ნაიკითხეს რაბი ავიმელეხ როზენბლატმა, რაბი მეერ კოზლოვსკიმ და ქოენმა რაფიელ მესინგისერმა.

ისრაელს საელჩოს მხარდაჭერით შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ფოტო გამოფენა — ჰოლოკოსტის თემასთან დაკავშირებით მარინე სოლომონიშვილის ნახატები იყო გამოფენილი. მან აღნიშნა, რომ ხელოვნების თვალთ დახახული ჰოლოკოსტი მნიშვნელოვანია და ერთ-ნაირად აღიქმება ყველა ასაკისა, თუ ეროვნების წარმომადგენლისათვის. ჰოლოკოსტის მუდმივად შეხსენება მნიშვნელოვანია, რათა მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსის, სახელმწიფო უწყებების და ებრაული ორგანიზაციების, სხვადასხვა რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების წევრები, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები და მედიკი.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ ისრაელის საელჩო საქართველოში და აშშ-ის საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) პროექტი „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება“.



მ. სოლომონიშვილის ნახატები









რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე



სარონ მდინარაძე

მ ი შ უ ს ა ტ ი ა

უნდა იყოს ის, როგორც გაშლილი მაგიდა, სადაც ყველაფერო მზადაა მისართმევად, ანუ ყველაფერი რისი ახსნაც შესაძლებელია, უნდა იყოს ახსნილი და განხილული.

თორაში პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ვერანაირი ციხე ვერ შეცვლის ზარალის ანაზღაურებას, ვერც ფიზიკურს და ვერც სულიერს, რომელიც მიაყენა დამნაშავემ დაზარალებულს. მიუხედავად ამისა, თორა ძალიან ბევრი დანაშაულისთვის ითვალისწინებს დასჯას სიკვდილით, მაგრამ ვინც კარგად შეისწავლის წესებს მიხედვით რომ თორის წესებით ადამიანის სიკვდილით დასჯა თითქმის შეუძლებელია, ამიტომ ებრაული სასამართლოს დანიშნულებაა მოძებნოს არგუმენტები რომ გაამართლოს ადამიანი და წერია თალმუდში, რომ სასამართლომ რომელმაც ეს ვერ შეძლო და თუნდაც შვიდ წელიწადში ერთხელ (მეორე აზრით – სამოცდაათ წელიწადში ერთხელ) დასაჯა ადამიანი სიკვდილით, ასეთ სასამართლოს ჰქვია – სისხლიანი (მკვლელი) სასამართლო.

განვიხლოთ რადენიმე წესი: წერია თორაში: ვინც დაარტყამს თავის მამას ან დედას, უნდა დაისაჯოს სიკვდილით, ხოლო თუ ვინმე დაწყევლის თავის მშობლებს, ის უნდა იყოს ჩაქოლილი ქვევით. რატომ უნდა დასაჯოთ ის, ვინც იწყევლება მძიმე სიკვდილით (ჩაქოლვა ითვლება სიკვდილის მძიმე სახედ), გვასწავლის თორა რომ დაწყევლა შეიძლება ადამიანს ადვილად წამოცდეს და რადგან ხშირად ამ დროს იყენებენ ჰაშემის სახელსაც, თორას უნდა რომ ჩვენ განსაკუთრებით გავფრთხილდეთ და დავიზღვიოთ თავი ასეთი დანაშაულისგან.

ასევე წერია: არ შეავინროვოთ (დაამციროთ) – „არც ქვრივი, არც ობოლი“ – გვეუბნება ჰაშემი – თუ მათ მიაყენებენ შეურაცხყოფას, მათ ვერავინ დაიცავს და ისინი მომმართავენ მე, და მე მოვისმენ მათ ტირილს და დაგსჯით თქვენ და თქვენი ცოლები გახდებიან ქვრივები და შვილები – ობლები.

არ გაჰყვე უმრავლესობას სიბოროტეში – თუ უმრავლესობა არ იქცევა თორის წესით, შენ არ გაქვს უფლება მათ გაჰყვე და თქვა ყველა ასე აკეთებს და მე რა ვქნა, გვინერია თორაში: სადაც არ არის ხალხი – იყავი ადამიანად, დღეს მარტო იქნები, ხვალ სხვა შემოგიერთდება, ზეგ კიდევ რამდენიმე და ასე გაძლიერდებით და მიაღწევთ სიმართლეს.

ასევე წერია თორაში: აკრძალული საქმლის და აკრძალული ლაპარაკის წესები ერთმანეთის გვერდით, გვიხსნიან ჩვენი ბრძენები, რომ ეს ორი თემა ერთმანეთთან ძალიან მჭიდრო კავშირშია და ის ვინც არ უფრთხილდება ქაშერი საქმლის წესებს, ის არ უფრთხილდება აგრეთვე აკრძალულ ლაპარაკს. რამბამი თავის ნაშრომებში

წერს უმეტესობა ავადმყოფობათა მოდის აკრძალული და ზედმეტი საქმელისგან და თუ ეს მართალია მატერიალურ საკითხებში მით უმეტეს სულიერში, რადგან ადამიანის ბაგეები არის მისი აზრების და სურვილების სარკე.

ისწავლეთ თორა, დაიცავით იგი და მაშინ ის თქვენ დაგიცავთ, იყავით ჯანმრთელები და ბედნიერები!

ლეილი ნიშმათ სარა ბათ აპარონ ჰანოლდა მინ მირაიმ ეშეთ რეუვენ ბერიძე

შვილი სიმბა (ყუყუნა), სიძე მოშე – ხაიმ (თემური), შვილიშვილები აპარონ დავიდ მდინარაძეები, ელიაჰუ (იური) ბერიძე, შვილიშვილთა შვილები ღრმა მწუხარებით იუნყებიან რომ 91 წლის ასაკში გარდაიცვალა **სარა აპარონის ასული ბერიძე** მენუხათო ბე გან ყედე მადლობთ

უცხოეთის ქვეყნებში ისრაელის ქანსეთის არჩევნები 5 მარტს გაიმართება

5 თებერვალს ისრაელის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სალიმ დჯურბანმა ისრაელის ფარგლებს გარეთ ქნესეთის 20-ე მოწვევის არჩევნების თარიღი დანიშნა. ამის შესახებ იუნყება NEWSru.co.il ცესკოს ოფიციალურ საიტზე დაყრდნობით

არჩევნები დიპლომატიური მისიებისეხით სათვის ჩატარდება 5 მარტს. 17 მარტისთვის საარჩევნო ყუთები უნდა იყოს იერუსალიმში, ქნესეთის შენობაში. როგორც ცნობილია, ისრაელის კანონმდებლობის მიხედვით, ხმის მიცემაში მონაწილეობის მიღება ყველას არ შეუძლია. მხოლოდ ისრაელის დიპლომატიური კორპუსისა და საზღვრებს გარეთ მოღვაწე სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მათი ოჯახის წევრებს.

ამ დღეებში, ცენტრალური საარჩევნო კომისია სალიმ დჯურბანის ხელმძღვანელობით, არჩევნებში მონაწილე 26 პარტიის განაცხადებს განიხილავს. 15 თებერვალს, ყველა კანდიდატის შემონმების შემდგომ, გამოქვეყნდება დასრულებული სახის პარტიული სიები.

აგრეთვე დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი შრომის მინისტრის მოადგილე ილია გოლდმანი. (გ. შარაძე, 1992, გვ. 158).

ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ბუნებრივია, თავისი საკუთარი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოც უნდა გაეჩინა. და, აი, 1953 წლის თებერვლიდან ნიუ-იორკში გამოსვლა დაიწყო ამერიკული საბჭოს საინფორმაციო ბიულეტენმა „ცნობის ფურცელმა“, ხოლო იმავე წლის ივნისს-ივლისიდან მას მიემატა საკუთარი პერიოდული ორგანო „ჩვენი გზა“, რომელიც იყო პირველი ნაბეჭდი, თუმცა, არა სტამბური, ქართული პერიოდული ორგანო, ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში გამოცემული.

„ჩვენი გზა“ იყო საზოგადოებრივი აზრის, მიუდგომელი და სინდისიერი გამომხატველი; ქართული საქმის ერთგული მეურნე და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დაუღალავი მქადაგებელი“ (გ. შარაძე, 1992, გვ. 159).

1953-61 წლებში ჟურნალ „ჩვენი გზის“ სულ 5 ნომერი გამოვიდა ნიუ-იორკში. იგი ორენოვანი იყო: ნაწილი წერილებისა და ბეჭდილია ინგლისურად, ხოლო ნაწილი — ქართულად. მიზეზი „ჩვენი გზის“ ორენოვნებისა ის გახლდათ, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულ საბჭოს“, რომელიც 1962 წლამდე ძლიერ აქტიური ორგანიზაცია იყო, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ამერიკის კონგრესთან (სენატი, პალატა). აშშ-ის კონგრესი საქართველისას სახელმძღვანელოდ იყენებდა „ჩვენი გზის“ ინგლისურ ნაწილს.

„ჩვენი გზის“ ფურცლებზე ინგლისურ ენაზეა დაბეჭდილი ილია გოლდმანის რეცენზია ნიგნზე: კონსტანტინე კანდელაკი, „საქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე“ („ჩვენი გზა“ 1953, 1-2).

ასევე ყურადღებას იპყრობს ჟურნალ „ჩვენი გზის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ნერილი „ევეგენი გეგეჭკორი“ – ერის კანონმცოდნე და სახელმწიფო მოღვაწე („ჩვენი გზა“ 1955, 4). ამავე ჟურნალში ქართულ ენაზეა დაბეჭდილი ი. გოლდმანის სტატია „ერთა თვითგამორკვევა და კერენსკი“ („ჩვენი გზა“ 1953, 1-2).

ჟურნალ „ჩვენი გზის“ სარედაქციო კოლეგიაში გივი კობახიძესთან ერთად სხვადასხვა დროს მოწვეული იყვნენ რედაქტორ-გამომცემლებლად ცნობილი საზოგადო მოღვაწე ემიგრანტები გრიგოლ დიასამიძე, პავლე კვარაცხელია, ლადო არველაძე, ნესტორ ალავეძე, ვანო ნანუაშვილი და ილია გოლდმანი.

საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თითქმის ნახევარი საუკუნე მანძილზე ილია გოლდმანის ერთგულად ედგა მხარში მისი მეუღლე პოლინა ევსევის ასული, რომელიც

ფლობდა მრავალ უცხო ენას, იგი ახალგაზრდობიდანვე ჩაება ერთა განმთავისუფლებელ მოძრაობაში და დიდი თავდადებით მოკიდა ხელი საქართველოს დაცვას.

დიდი ქართული საქმისათვის ბრძოლაში ისრაელის შვილნი ილია გოლდმანი და მისი მეუღლე პოლინა ევსევის ასული არცერთ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო მომენტს, ან შესაძლებლობას არ უშვებდნენ ხელიდან, რათა საქართველოს რესპუბლიკის ძალით მიტაცებული თავისუფლების საკითხი დაეყენებიათ აშშ-ს უმაღლეს ორგანოებში და ქართული საქმის პრობაგანდა გაენიათ.

ნიშანდობლივია ისიც, როგორც ემიგრანტი გიორგი ვერაძე აღნიშნავდა: „ამა წლის იანვარში სიკვდილმა მოსტაცა მას მისი ერთგული მეუღლე პოლინა ევსეევნა. ამ მწუხარებით გულდათუთქული, ავადმყოფი, ღონემიხდილი, მაინც არ ივიწყებს ქართველი ერის სადღესასწაულს დღეს – 26 მაისს და ქართველი პატრიოტების მიერ ნიუ-იორკში გამართულ კრებაზე ტრიბუნიდან ამხელს მოსკოვის მთავრობის ვერაგობას – საქართველოს ერისადმი ჩადენილ ჯალათობას. გრძობის ლელვამ, გულის ფორიაქმა დაასუსტა იგი. ველარ შესძლო დაემთავრებინა თავისი მგრძობიერი სიტყვა და 26 მაისის დროის წინ მის სამსახურშივე დალია სული...“ (გ. შარაძე, 1993,

გვ. 123).

ილია გოლდმანი და მისი მეუღლე 1963 წელს გარდაიცვალნენ ნიუ-იორკში (იანვარში პოლინა ევსევის ასული, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ილია — გოლდმანი).

ასე დაიფურფლნენ ქართველი ერის სამსახურში ებრაელობის სასიკადაულნო შვილნი იოსებ ელიგულაშვილი და ილია გოლდმანი.

- დამონებული ლიტერატურა: 1. გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 18, 30 აპრილი, თბილისი, 1917. 2. თ. პაპავა, 1973 – თ. პაპავა, „ლტოლვილთა საძვალენი, პარიზი, 1973. 3. ჟურნალი „ქართულ-ებრაული ურთიერთობანი“, ქუთაისი, 1996. 4. ჟურნალი „ჩვენი დროშა“, 14, პარიზი, 1953. 5. ჟურნალი „ჩვენი დროშა“, 108, პარიზი, 1986. 6. გ. შარაძე, 1990 – გ. შარაძე, „ფრანგული დღიური“, თბილისი, 1990. 7. გ. შარაძე, 1992 – გ. შარაძე, „ამერიკელი ქართველები“, თბილისი, 1992. 8. გ. შარაძე, 1993 – გ. შარაძე, „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. 2, თბილისი, 1993. 9. გ. შარაძე, 1993 – გ. შარაძე, „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. 3, თბილისი, 1993.

# ახალი ქაშერი რესტორანი „იერუსალიმი“


თბილისში, პურის მოედანზე იერუსალიმის ქუჩა 2 გაიხსნა კიდევ ერთი ახალი ქაშერი რესტორანი „იერუსალიმი“.

რესტორანი იღებს შეკვეთებს, მოემსახურება სასტუმროებს, კერძო პირებს.

გვესტუმრეთ.

ტელ.: +995 555 545 6 11;  
+ 995 557 995 003;

რესტორანი:  
(+995 032) 292 20 73



## საფრანგეთის ებრაელების ერთი პროცენტი, ისრაელის უპრაპი ქონების ბაზარს კრახამდა მიიყვანს

ისრაელის შემფასებელთა ასოციაციის წარმომადგენელი ეჭოდ დანოსი აცხადებს, რომ ქვეყანა არ არის მზად საფრანგეთიდან ჩამოსული ებრაელების მისაღებად.

დანოსმა განაცხადა: „ისრაელი არ არის მზად მიიღოს რეპარტირებულთა დიდი რაოდენობა ევროპიდან. ტერორისტული აქტების ბოლო ტალღამ რა თქმა უნდა, ჩვენც ცუდ მდგომარეობაში ჩაგვადგო, მაგრამ აბსოლიტურად ბუნებრივია, რომ ათიათასობით ჩამოსული, ვერ იპოვის საცხოვრებელს ისრაელში. დანოსმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ არსებული სიტუაციის სხვადასხვა ასპექტები. მხოლოდ საფრანგეთში მილიონ 200 000 ებრაელია, რომელიც შეიძლება ჩამოვიდეს ისრაელში „დაბრუნების კანონის“ მიხედვით, მაგრამ საკმარისია ჩამოვიდეს ამ ადამიანების მხოლოდ 1%, რომ ჩვენ უკვე დაგვჭირდება 3000 ახალი საცხოვრებელი ბინა, რაც წლიური მშენებლობების 6% შეადგენს. კატასტროფის მასშტაბი სინამდვილეში კიდევ უფრო დიდია. ჩამოსულები საცხოვრებელს აირჩევენ აშკელონიდან ხადერამდე, რაც გაზრდის წნეხს ამ ქალაქებზე, მოთხოვნა გაიზრდება 12%-ით. დანოსი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ისრაელს სჭირდება რამდენიმე წელი, რათა დააკმაყოფილოს ამ მასშტაბის მოთხოვნა. „მნიშვნელოვანია, რომ ყველამ, ვისაც სურს იცხოვროს ისრაელში, მოახერხოს თავისი უფლების გამოყენება, მაგრამ, უფრო მნიშვნელოვანია ისრაელში ჩამოსულებმა იპოვონ საცხოვრებელი ნორმალურ პირობებში. თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ 300 000 ევროდ შეგიძლიათ იყიდოთ

დიდი და კარგი ბინა საფრანგეთის ნებისმიერ ტერიტორიაზე, მაგრამ ისრაელში 1,5 მილიონი შეკვლით ვერ იყიდით 4 ოთახიან ბინას ნეთანიაში“.

## ებრაელმა დალაქმა უჩინარი კიპა შექმნა

ებრაელმა დალაქმა კორეაში შემოგვთავაზა უჩინარი კიპა ხელოვნური თმისგან, იმისათვის რომ ებრაელობა ევროპის ქუჩებში არ განიცდიდეს დისკომფორტს. ეს გამოგონება სწორედ მაშინ გაჩნდა, როდესაც ევროპაში გაიზარდა ანტისემიტური განწყობა. „უჩინარი კიპა“ შეგიძლიათ შეიძინოთ ინტერნეტში 56\$. კორეაში აღნიშნავს, რომ „ჯადოსნური კიპა“ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საფრანგეთსა და ბელგიაში.

ისრაელის უმაღლესი საგანმანათლებლო რელიგიური დაწესებულების პედაგოგი შლომო ავინერი აღნიშნავს, რომ კიპა უნდა ჩანდეს, რადგან მისი ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა, რომ ებრაელი ერი გამოირჩეოდეს, საფრთხის შემთხვევაში კი ის შეიძლება დაიმალოს.

რამდენიმე ხნის წინათ ჟურნალისტები ატარებდნენ ექსპერიმენტს, რათა გამოერკვიათ ანტისემიტების დონე. შევედურმა ტელევიზიამ იანვარში აჩვენა სიუჟეტი, რომელიც ეძღვნებოდა ჟურნალისტ პეტერ ლიუნგრენის მოგზაურობას შევედეთის ქალაქ მალმეში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი არის მუსლიმი. ჟურნალისტმა დაიხურა კიპა და გულზე დაავითის ვარსკვლავი დაიმალა, ადგილობრივები ლიუნგრენს სიტყვიერ შეურაცყოფას აყენებდნენ და ესროდნენ კვერცხებს.

ებრაელი მამაკაცები კიპის დახურვით აღიარებენ ღმერთს. ევროკავშირის სტატისტიკის მიხედვით, 2013 წლიდან ყოველ მეხუთე ებრაელს მოუწია უარი ეთქვა რელიგიურ სიმბოლოებზე, რომ გადარჩენოდა თავდასხმებს.

# ტოლერანტობა — შენყნარეზობა

ყოველი სრულყოფილი რელიგია ატარებს კოსმიურ უხილავსა და მაღალ ზნეობრივ წმიდათა წმიდა სულიერ სიმდიდრეს, რათა მათში სამყაროს უმთავრესი უფლისმიერი ქვემარტება ჩაქსოვილი, რომელიც ზეცის შორეული საგანძურისგანაა გადმოსული. დროთა ჟამში კაცობრიობის რელიგიებმა თურამე ცვლილებები მიიღეს ისევ სამყაროს უმდიდრესი წესრიგიდან იქნება მოწოდებული და არა ადამიანებისაგან. ამრიგად ქვეყნიერების ნებისმიერი რელიგია კაცობრიობას მოძღვრავს ზეციურის საერთო სიკეთეს და სიყვარულს. აქედან გამომდინარე ჩვენ-ჩვენი კანონიკური ალაღმართალი სარწმუნოებანი უნდა შევისისხლხორცოთ უნაკლოდ...

უსასრულო კოსმოსის მმართველმა ძალამ უფალმა, ადამის მოდგმის გაჩენის დღიდან ადამიანებს თანდათანობით შეაგნებინა რწმენა ღმერთისა და წარმოშვა რელიგიური აზროვნებათა მარადიული სივრცე, რომელიც სიკეთის სიყვარულის ურთიერთ დანდობის უფლისმძიერი სულიერი და გონებრივი აზროვნების ზეინტელექტ ქვემარტების სრული შეგნების წყაროა.

ემმაკი დროის უსასრულობიდან მოდევნებული უკედევანოდ ბოროტებას თესს და მის მიერ გადაბირებული ადამიანების უსუსური გონებით და სასატიკი ხელით უთვალავჯერ სისხლის მორევში აცურავა პლანეტა ჩვენი, მოსპო მრავალი ცივილიზაცია და უნიჭიერესი ერნი. ის ისევ განაგრძნობს ჩვენს უწყინარ პლანეტაზე

ტანჯვის მომგვრელ ქმედებებს... ამით კოსმიური უკეთილშობილესი სივრცე უთუოდ გაკვირვებული და შეწუხებულია... ზეციურმა კეთილმა ძალამ ყოველი ერის და სარწმუნოების აღმსარებელი ნათესაურად შეგვაკავშიროს და ურთიერთ დანდობის, თანადგომის, ღვთიური გაგების, სიყვარულისა და მიტევების გზით გაგავაერთიანოს ნებისმიერი რელიგიური ინდივიდუალობის შენარჩუნებით.

საკუთარი რელიგიის სიყვარულისადა მორჩილობითი ტოლ ფასოვნობით, პატივი მივაგოთ ყველა სხვა სარწმუნოებას და ავიცდინოთ საშინელი ეშმაკისეული ბოროტების ქვეყნიერების დამღუპველი გზა რათა ზეციურად ვალდებულნი ვართ, სამყაროს ზნეობიდან გამომდინარე დავასვენოთ დედამინა ადამიანთა სისხლის უწყვეტი ნაკადებისაგან. მომავალი საუკუნეები უახლოესი მესამე ათასწლეულის ჩათვლით ჩამოვყალიბოთ ღვთიურ-კოსმიურ ქვემარტებათა ნათელ ეპოქებად. დაახლოებით ამ ფორმის ზნეობისაკენ მიგვიითიებს ჩვენი ქვემარტებისაკენ მავალი შესხენებისა და მოწოდების სურათი „ტოლერანტობა“ (შემწყნარებლობა), რათა თანაბრად პატივი ვცეთ სამყაროს წესრიგ კანონისაგან ბოძებულ ადამიანთა მხსნელ რელიგიებს...

ავტორი: მხატვარი, პროზაიკოსი რეზო (ემელიანე) ადამია.

საქართველო 2015 წელი.



დაგვუპნებელი და გამოცემელი:  
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე  
თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>,  
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია  
ქ. თბილისის მთაწმინდის  
რაიონის სასამართლოს  
შიპრ.  
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი  
გურამ ბათიაშვილი  
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16  
8-557  
9771987898003